ანბანის ფურცლები

მოსწავლეები მოიფიქრებენ და შეაგროვებენ სხვადასხვა ასო-ბგერაზე დაწყებულ სიტყვებს.



კლასი: I

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური.

რესურსი: ფერადი ფანქრები, ჟურნალ-გაზეთები, პლასტილინი, მაკრატელი, გარემოში არსებული საგნები, წებო, წებოვანი ლენტი, ფურცელი. შესაძლებელია სპეციალურად დამზადებული ანბანის ფურცლის გამოყენებაც (იხ. დანართი).

მსვლელობა

- მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს თაბახის/სახატავ ფურცლებს და სთხოვს, რომ დაწერონ ახლად შესწავლილი ასო-ბგერა და მოიფიქრონ მასზე დაწყებული რამდენიმე სიტყვა. აგრეთვე, შეიძლება სთხოვოს იმ სიტყვების მოფიქრება, რომლებშიც ეს ასო ურევია. მოსწავლეებს შეუძლიათ: ა) დახატონ საგანი; ბ) გამოძერწონ და დააკრან ფურცელზე; გ) მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებულ ჟურნალ-გაზეთებში მოძებნონ და ამოჭრან სასურველ ასო-ბგერაზე დაწყებული სიტყვის გამოსახულება; დ) სკოლის ეზოში/საკლასო ოთახში მოიძიონ შესაბამისი საგანი და დააწებონ ფურცელზე (მაგ., **ფ** - ფოთოლი, **ქ** - ქვა, **ტ** - ტოტი, **ც** - ცარცი და სხვ.).
- დავალების შესრულების შემდეგ მსურველი მოსწავლეები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს კლასის წინაშე.
- „ანბანის ფურცლის“ მეორე გვერდზე მოსწავლეები ეტაპობრივად მიამატებენ კონკრეტულ ასო-ბგერაზე დაწყებულ ახალშესწავლილ სიტყვებს.

შენიშვნა: აქტივობა არ მოიცავს მხოლოდ ერთ ან რამდენიმე გაკვეთილს. მასწავლებელს შეუძლია იგი სასწავლო მინიპროექტად გადააქციოს და მისი ხანგრძლივობა საანბანო პერიოდის ბოლომდე გაზარდოს. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები დააგროვებენ „ანბანის ფურცლების“ გარკვეულ რაოდენობას, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს რამდენიმე ფორმა შესთავაზოს მათი ნამუშევრების გამოსაფენად: ა) წიგნებად აკინძვა; ბ) ფურცლების სიგრძეზე გადაბმა და „ანბანის კედლის“ გაკეთება; გ) თითო ასო-ბგერაზე კლასში დაგროვილ ნამუშევრებს შორის საუკეთესო ნაშრომის შერჩევა თავად მოსწავლეების მიერ და „ანბანის გამოფენის“ მოწყობა (აუცილებელია, რომ შეირჩეს ყველა ბავშვის თითო ნამუშევარი მაინც).

ანბანის ფურცელი

ჩაწერე ასო.



მიამსგავსე ასო რაიმეს და დახატე.



დახატე საგანი, რომლის დასახელებაც ამ ასოზე იწყება.



დახატე საგანი, რომლის დასახელებაშიც ეს ასო ურევია.